



USAID
ამერიკელი ხალხისგან

პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



PRESS RELEASE

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის:
2016 წლის 12 ივლისი
დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
USAID-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის
კოორდინატორს, მაკა ჯაფარიძეს
მობ: (995 99) 56 77 33
ელ-ფოსტა: mjaridze@usaid.gov

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე თემების ეკონომიკური განვითარების მიზნით **USAID** იწყებს პროექტს **ზრდა საქართველოში**

სოფ. ზემო ნიქოზი, გორის მუნიციპალიტეტი, 2016 წლის 12 ივლისი, სამშაბათი, - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელი დაგლას ბოლი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და შიდა ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე ეწვივნენ საქართველოს სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე თემებს.

შეხვედრაზე USAID მისიის ხელმძღვანელმა ოფიციალურად გახსნა პროექტი *ზრდა საქართველოში*, რომელსაც USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს Chemonics International Inc. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციულ საზღვისპირას მდებარე 70 თემს. აღნიშნული ხუთწლიანი პროგრამა მიზნად ისახავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე თემების მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, რაც გულისხმობს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობას; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების გარღმავებას, და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით.

პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება 2000 სამუშაო ადგილი, 650 საწარმოში გაიზრდება გაყიდვების მაჩვენებელი, 11000 ოჯახს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.

საქართველოში USAID-ის საქმიანობის შესახებ: უკანასკნელი 24 წლის განმავლობაში ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის გავლით საქართველოს პროგრამებისთვის გაღებული დაფინანსება 1.5 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. USAID-ის პროექტები, რომელთა მიზანია საქართველოს დახმარება თავისუფალი და წარმატებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ასევე, ჯანდაცვის და განათლების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>